№ 154
ოთხშაბათი, 20 ივლისი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
0	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 154
ოთხშაბათი, 20 ივლისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთი დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზნაური მიხეილ ლუკას ძე აგალიანი, კონსტანტინე და ელენე საგინაშვილები და აზნაურნი გრიგოლ და მანანა არისტაკესოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებასა პირველი—მეუღლისა, მეორენი—ასულისას, ხოლო მესამენი დისას—ანნა კონსტანტინეს ასულის აგალიანისას და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ მიცვალებულის გასასვენებლად ხუთშაბათს, 21 ივლისს, დილის 9 საათზედ, ნიკოლოოზის, ქუჩაზე ჩიკალსკის სახლებში, № 111, კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში.

(2—1)

„ივერია“

გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ტფილისი, 20 ივლისს

—

შორს აღმოსავლეთში ეს რამდენიმე დღეა, რაც ორ სახელმწიფოს შორის ომი ასტყდა. ერთის მხრით არის უზარმაზარი ჩინეთის იმპერია, რომელსაც 600 მილლიონამდე ქვეშევრდომი ჰყავს,— მეორეს მხრით პატარა კუნძული იაპონიისა, სივრცით ჩინეთზე ასჯერ ნაკლები... თუმცა მცხოვრები-კი ამ ქვეყნისა 40 მილლიონამდე ითვლება.

პირველის შებრძოლებისათანავე ზღვაზე პატარა იაპონიამ სასტიკად დაამარცხა დიდი ჩინეთი: ერთი სამხედრო ჩინეთის გემი ტყვედ დაირჩინა და მეორე გემი, რომელზედაც 1500 კაცი იყო და სურსათი, ნაღმით ააფეთქა და დაჰქდუპა. ამ დროსვე იაპონიის ჯარმა დაიჭირა სასახლე კორეს მეფისა, რომელიც ჩინეთის მფარველობის ქვეშ არის. მეფემ სთხოვა ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, რომ შუამავლობა გაუწიონ იაპონიასთან..

ამ საქმეში როგორც ამბობს გუშინ მოსული პეტერბურგის გაზეთი „Нов. Время“: „რუსეთისთვის საჭიროა კორეს კუნძულის დამოუკიდებლობა, რადგანაც ეს დამოკიდებულება მოსაზღვრე სახელმწიფოსი სასარგებლოა რუსეთის პოლიტიკურ მდგომარეობისთვის წყნარს ოკეანეში.

ამ მხრით ჩვენ ძალაუნებურად უნდა მივემხროთ ჩინეთს იაპონიის წინააღმდეგ“-ათ. ამას გარდა ატეხილ დადაში საფრანგეთს, გერმანიას, ინგლისს და თვით ამერიკის შეერთებულ სტატიების რესპუბლიკასაც აქვს თავისი ანგარიში... სანამდის მიიყვანს თითოეულს ზემოდასახელებულს სახელმწიფოს ეს ანგარიში, როგორს მონაწილეობას გამოიჩენს რომელიმე ამათგანი ამ შემთხვევაში,—ამისი გადაწყვეტით თქმა ჯერ დიდი სითამამე იქნება.

უეჭველია, რომ ომი იაპონიასა და ჩინეთს შორის თავისთავადაც საყურადღებო და სამნიშვნელო ამბავია. ჩინეთი დიდად განათლებული ქვეყანა ყოფილა ოდესმე: მრეწველობა, ხელოვნება და ცოდნა, რომლითაც თავი მოაქვთ დღევანდელ ევროპიელს,—ჩინეთში დიდი ხანია არსებულა. სხვათა შორის ამ ქვეყანაში ათი-თორმეტი ქალაქი ყოფილა ისეთი, სადაც 7—8 მილლიონამდე ხალხი სცხოვრებდა. ერთის სიტყვით, ჩინეთს ჰქონია საკუთარი დრო დიდებისა და აღყვავებისა. ერთი რუსის მწერალი ჩინებულად აგვიწერს ამ ქვეყნის წარსულს თავის წიგნში: «Азбука соціяльныхъ наукъ»—Флеровскаго.

ჩინეთის დიადსა და საოცარ ხალხის მოძრაობასთან შედარებით ევროპის დიდი რევოლუციები, ომები და ცვლილებანი ნამდვილი ხუმრობაა, უსუსურთა ბავშვთა თამაშია...

მაგრამ ჟამთა ვითარებამ და იქნება იმ კანონმაც—რომ ერიც ისე, როგორც ყოველი არსი, იბადება, იზრდება, მოწიფულდება, ჰბერდება და უკანასკნელად ჰქრება დედამიწის ზურგიდან—დღეს ჩინეთი ისეთს მდგომარეობაში ჩააგდო, რომ პატარა იაპონია, რომელიც იმისი მეასედიც არ არის სივრცითა და მცხოვრებთა რიცხვით 12 ჯერ ნაკლებია, თამამად შეებრძოლა ამ უზარმაზარ იმპერიას და საგულისხმოც არის რომ გამარჯვებული დარჩება. მაშინ როდესაც ჩინეთი უარ-ჰყოფს დღევანდელს ევროპის განათლებას, მისცემია მოსვენებას და უდარდელს ცხოვრებას, იაპონია აგერ ოც-და-ათი წელიწადია, რაც გამოფხიზლდა ამ ძილისაგან, შეუდგა განათლების გავრცელებას თავის სამშობლოში. დღეს იაპონია ზოგიერთ ევროპის სახელმწიფოებზედ წინა სდგას სწავლით, ცოდნით, სიმდიდრითა და სახელმწიფო წეს-წყობილებით. იაპონიას მრავალნი აღმოსავლეთის ინგლისს ეძახიან და ეს ქვეყანა მართლა რომ ჩამოჰგავს, დიდ-ბრიტანიას, როგორც თავის მდებარეობით—ესეც ისეთივე კუნძულია, როგორც ინგლისი—ისე მცხოვრებელთა ენერგიითა და წარმატე-

ფელეტონი

—

⁂

ეჰ, ღმერთო ჩემო! ცხოვრება
რა გვარად აშლილ-დაშლილა:
ყვავი ბულბულობს, ამაყობს,
ასკილი ვარდად გაშლილა;
წრფელი გრძნობების სანაცვლოდ
გული შხამ-გესლით აღვსილა,
ძველთა ანდერძი დიდების
იმათ ხსოვნაში წაშლილა!..

—

ეჰ, ღმერთო ჩემო! ცხოვრება
რა გვარად აჭრელებულა:
შუა ცეცხლზე წყალი ყინდება,
ყინულზე ადუღებულა,
სადაც ზაფხული მეფობდა—
ზამთარი დამკვიდრებულა,
სადაც ტბა იყო ბაყაყთა
ბულბული დაღხინებულა!..

—

ეჰ, ღმერთო ჩემო! ცხოვრებას
რა გვარ უცვლია ფერია:
საგათას ძილსა მოუცავს
წინად მღვიძარი ერია,
წმინდა სჯულს აღარ გასდევენ
ძველებრ ნორჩი და ბერია,
ქაჯთა საქანჯვნად გამხდარა
ეს მხარე მშვენიერია!..

—

ეჰ, ღმერთო ჩემო! ცხოვრებამ
ვინ უნდა გაახაროსა,
როდესაც ძმათა სისხლითა
აღვსილს ვსვამთ მთისა წყაროსა;
როდესაც ღვთის მადლს ძირს ვუთხრით
წრფელ გრძნობათ საბაღნაროსა,
თაყვანს ვსცემთ ბოროტს, კერპს, მტარვალს
და ყოველს საამგვაროსა?!.

—

ეჰ, ღმერთო ჩემო! ცხოვრებას
აკრავს სამარის ზნელია:
მგოსანი სიტყვით კვლავ მგოსნობს,
საქმით—ჭრელ-განა გველია,
დედებმა საღვთო კალზედა
უკვე აიღეს ხელია,
სამწყსოს მწყემსისა მაგიერ
თვალ-ყურს ადევნებს მგელია!..

—

ეჰ, ღმერთო ჩემო! ცხოვრება
არ გავს საერო ლხენასა:
ძმა ძმას ჰკლავს, შვილი მამასა,
არვინ ახსენებს ზენასა,
მტერსა ადიდებს, მოყვრებზე
ბოროტს აუბნებს ენასა,
გადაჰყოლია ცხოვრების
ნივთიერს მღვრიე დენასა!..

—

ეჰ, ღმერთო ჩემო! ამისთვის
აღვავლენ შენდმი ვედრებას,—
ნუ წამწყმედ, ნურცა გამიცხავ,
ცოდვად ნუ მითვლი უკვედრებას,—
არ ძალ-მიძს შევუკავშირდე
ამ გვარს უგულმართს ცხოვრებას,
თუნდა ვიცოდე, რომ იგი
არ ამაცილებს ცხონებას!..

—

მაგრამ გენუკვი, ძლიერო,
კურთხევა გარდმოგვივლინო,
ყოველი ავი აღგავო,
სული ძალ-ღონით გვილხინო,
ყანები, მადლით ნათესი,
მოგვმადლო, აგვიბიბინო,
მამათ ანდერძს და გვარად
ცხოვრებს დაგვიგვირგვინო!..

გრ. აბაშიძე

ლ ო ც ვ ა.

შუა ზაფხული იყო. ტრიალს მინდორს მომკალი მუშები მოსდებოდნენ და იმათი „ჰოპუნას“ ხმა შორს გაისმოდა. ამ დღეს ჩვენც სოფლის ნაპირას შვიდიოდე მუშა გვეყენა. ნადირობიდგან დავბრუნდი და მოქანცული წამოვწექ ყანის თავში, სადაც რამდენიმე ძნა იყო აყუდებული. ამ ძნებს შუა ეწყო მუშების ჩოხა-ქუდები, წყლით სავსე ჯამი, რამდენიმე სალესავი, კოკით წყალი, რომელსაც პირში ბალახი ჰქონდა დაცობილი, და გამოცარიელებული ტიკჭორა.

მზე კარგად გადაწვერილი იყო და სიცხის ნაცვლად გრილი ნიავი მოსისინებდა. ამ სიოთი გახალისებული მუშები ისე მარდადა ჰმკიდნენ ყანასა, თითქოს მუშაობა ეს არის ეხლა დაუწყიათო.

უცებ შემომესმა ეკლესიის პატარა ზარის წკრიალი. ყველანი წელში გაიშალნენ და თავზედ ხელი წაივლეს, მაგრამ ქუდის ნაცვლად თავზედ წითელი ხელსახოცები ეკრათ. ყველამ ერთ დროს დაიწყო პირჯვრის წერა. მუშაობაზედ ხელი აიღეს და ნელ-ნელა გამოსწიეს ჩემსკენ; საჩქაროზედ გადაიცვეს ჩოხები და ღიღინით გასწიეს შინისკენ. მეც თან გავყევი. ეკლესიისკენ უნდა გაგვევლო.

— მოდი, შვილო, ჯერ ეკლესიაში შევიდეთ. ეს ორი თვე იქმნება, რაც წირვა არა გვღირსებია და მადლია, ხვალ „სებიჰკვერს“ მაინც ავიღებთ. ვინ იცის, მარიამობამდის ჩვენმა მღვდელმა ეკლესიას გვერდითაც აღარ გაუაროს. სთქვა ერთმა მოხუცმა.

— ძალიან კარგი იქმნებაო, უპასუხა მეორემ, ჯერ კიდევ მაინც ადრეა. სინამ შენ წადი და შინ უთხარი, რომ ცივი ღვინო დაამზადონ! მიუბრუნდა პატარა ბიჭსა, რომელიც ხელეურის აკრეფასა ჰშველოდათ.

ბარემ ეს თოფიც შინ წაიღე-მეთქი, ვუთხარ მე და მივაწოდე თოფი.

მუშებმა ნამგლები ეკლესიის კედელზედ მიაყუდეს, ქუდებიც იქვე მიაწყეს და პირჯვრის წერით შევიდნენ.

შევდგი თუ არა ეკლესიაში ფეხი, მაშინვე მომესმა მოხუცის დიაკვნის სუსტი, მაგრამ სასიამოვნო, გრძნობით სავსე ხმა: „უფალო ღაღად ვყავ შენდამი, ისმინე ჩემი, უფალო!“

დიაკვანს ჯერ არ გაეთავებინა უკანასკნელი სიტყვა, როდესაც უკანიდგან შემომესმა ჩუმი, ნაცნობი ხმა: „უფალო, ღაღად ვყავ შენდამი, ისმინე ჩემი, უფალო!“

მივიხედე უკან და დავინახე, რომ ჩემგან ერთი ნაბიჯის სიშორეზედ იდგა თვალცრემლიანი დედაჩემი, მაგრამ ის დედა-კი არა, რომელსაც ყოველ დღე ვხედამდი, ეს სულ სხვა იყო: იმის სახეზედ იხატებოდა არაჩვეულებრივი სულის მღელვარება; კარგა ხანს შევყურებდი, მაგრამ თითქოს ვერა მხედავდა მე, თვალები ღვთისმშობლის ხატისთვის მიეპყრო.

— დედა! უცებ უნებურად წამომვარდა პირიდგან სიტყვა.

— შენა ხარ, შვილო? წამავლო რა თვალცრემლიანმა დედამ ხელი: ილოცე, შვილო, შეეხვეწე ღმერთსა, რომ ბედნიერი კაცი გამოგიყვანოს! და თითონ-კი ისევ მუხლი მოიყარა.

დედიჩემის ასეთმა მდგომარეობამ გასაოცრად იმოქმედა ჩემზედ: მისმა აღგზნებულმა გრძნობამ რაღაცა საიდუმლო მადლით აავსო ჩემი სული და გული. მივაპყარ თვალი ღვთისმშობლის ხატსა და ოხ, საკვირველებავ! უსულდგმულო, დახატულ ფიცრად როდილა მეჩვენა! დავინახე თვით დედა უფლისა, რომელიც სიყვარულით, ალერსიანად მიცქეროდა... მუხლები თავისთავად მომედრიკა და, პირქვე დამხობილს, თვალებიდგან ცრემლები გარდმომცვივდა... გულ-მხურვალედ ვლოცულობდი.

რა იყო ეს ლოცვა? რად გადმომცვივდა თვალებიდგან ცრემლები? ნუ თუ იმასა ვსთხოვდი ღმერთსა, რაც დედამ მითხრა? არა! მე იმას არ ვევედრებოდი ღმერთსა, არც ის მითხოვნია, რასაც ყოველ დღე ვთხოვდი ხოლმე ღმერთსა: დედა მიცოცხლე-მეთქი.

მაშ რა იყო ეს ლოცვა? დედის მიბაძვა? არა, ეს იყო ნამდვილი წმიდა ლოცვა! ამ ლოცვით ღმერთსა ვთხოვდი რაღასაცა და ამ რაღაცაში იხატებოდა ისიც, რასაც დედაჩემი სთხოვდა, და სხვაც კიდევ ბევრი, ბევ-

ბის ძლიერის სურვილით·

ყოველი ესე შექმნა პატარა იაპონიაში ოც-და-ათის წლის განმავლობაში საკვირველმა ენერგიამ და გასაოცარმა გონიერმა მოქმედებამ ამ ქვეყნის მპყრობელისამ. 1860 წელს მიკადო—მეფე იაპონიისა, ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი იყო, როდესაც გამბედავად შეებრძოლა ძველის წეს-წყობილების დანერგვას თავის სამშობლოში, და აჰა, დღეს ეს ღირსეული და პატივსაცემი მპყრობელი პატარა კუნძულისა გაუმკლავდა მსოფლიო იმპერიას...

თუ ევროპამ და ამერიკამ დააცადა ამ ორს სახელმწიფოს—ნათლად გამოჩნდება, თუ რა სასწაულთ-მოქმედია სწავლა და თავისუფალი მმართველობა ქვეყნისა, და იმავ დროს—რა უსუსური და საბრალოა უშველებელი იმპერიაც, თუ არ არის იგი აღჭურვილი ამ სწავლითა და გონიერის მართველობით.

მაგრამ საეჭვოა, რომ ეს უეცრად გაჩენილი ცეცხლი შორს აღმოსავლეთს იქვე დაჰქრეს და ნაპერწკლები დასავლეთისაკენ არ გადმოიტანოს იმ ერთგვარმა ნიავმა რომელსაც დიპლომატია ეწოდება.

თუმცა არც ამ დიპლომატიამ იცის სად, ან როგორ უნდა ჩანელდეს მისგან გაჩაღებული ცეცხლი. რომელ ქვეყანას მოიტანს ქვეშ ერთხელ დაწყებული ომი და რომელს გამოიყვანს თავისუფლებისა და სიცოცხლის ასპარეზზე, მაგრამ განა ეს იმისი საქმეა?—აქ სხვა რამ უზენაესი მიზეზია მოძრავი ძალა, ძალა, რომელიც სთხზავს ისტორიას, და, რომლის წინააღმდგომა კაცთაგან შეუძლებელია. იქნება ჩვენ ამ ჟამად მოწამე ვიყოთ, როდესაც ეს უზენაესი ძალა ხელ-ახლად თავისებურად სჭრის და ჰკერავს ევროპის და აზიის ქვეყნების ბედს, რომელთაც, რასაკვირველია, არ იციან რა მოელით—თავისუფლება თუ მონება, სიცოცხლე თუ სიკვდილი...

მეველე

დეპეშა

18 ივლისი

შან-ჰაი. 15 ივლისს მოხდა შეტაკება ჩინეთისა და იაპონიის სამხედრო გემთა შორის. შემდეგ ფიცხლის ომისა იაპონელებმა დაატყვევეს ჩინეთის სამხედრო გემი და ნაღმით ააფეთქეს ტრანსპორტის გემი „კოუშინგ“, რომელზედაც 1500 ჯარის კაცი იყო. საფრანგეთის სამხედრო გემმა ,,ლიონმა'', ამათგან მხოლოდ 40 გადაარჩინა. დანარჩენნი ევროპიელნი, რომელნიც ,,Kou Shing''-ზედ მსახურებდნენ, ერთიანად დაიხოცნენ ან დაიღუპნენ.

იოკაჰამი. გამოწვეულია ქვეითისა და ზღვის სათადარიგო ჯარი. იაპონიაში მცხოვრებნი ჩინელები სტოვებენ ამ ქვეყანას და მიდიან თავის სამშობლოში. იაპონიის ლაშქარმა სეულში კორეს მეფის სასახლე დაიჭირა, იმის შემდეგ, რაც მეფემ უარი განაცხადა, რომ არ განვდევნი ჩინეთის ლაშქარს ჩემის სამეფოდგანაო. კორეს მეფემ მიჰმართა, ევროპის წარმომადგენელთ და შუამდგომლობა სთხოვა.

ახალი ამბავი

⁂ ქართული ჟურნალ „მოამბე“-ს გამომცემელმა სტატსკი სოვეტნიკმა ნიკოლოოზ ბესსარიონის ძემ ლოლობერიძემ და აზნაურმა ალექსანდრე გიორგის ძემ ჯაბადარმა ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველოს მიართვეს თხოვნა იმის შესახებ, რომ ლოლობერიძე თავისს უფლებას უთმობს ა. ჯაბადარს.

⁂ პეტერბურგიდგან დეპეშით იტყობინებიან, რომ მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის ეგერმეისტერი თავადი ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი დამტკიცებულ იქმნა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლადაო.

⁂ ხევი. (სოფელ აჩხოტში) გაჩენილ გადამდებ სნეულებისგან გუშინ კიდევ ორი ბავშვი გახდა ავად და ნარჩენმა მეზობლება სახლებს კარები გამოუკეტს და მთაში გაიხიზნენ.

სოფელ გაიბოტენში ამ ორი კვირის წინად მსხვილ ფეხი საქონლის ჭირი გაჩნდა და დღევანდლამდინ 20—ზედ მეტი ისე დაიხოცა, რომ არც ერთს პურუტყვს ჭირი არ უხდია.

⁂ ცხინვალი. უპატრონობით ლამის სული დალიოს ჩვენმა წიგნთსაცავმა და სამკითხველომ... მოგეცათ სიცოცხლე დიდი ადგილი უჭირავს ლოტო-ბანქობანას თამაშობას, რომელშიაც წააგ-მოიგებენ ორ თუმნობით და მანეთი და ათი შაური-კი ეძნელებად მიაწოდონ წიგნთსაცავს-სამკითხველოს. თუ ასე უყურადღებოდ იქმნა დატოვებული სამკითხველო, დღეს თუ არა ხვალ სულს განუტევებს და თავის ცოდვებს მოახვევს ცხინვალელებს თავზედ, რაც მათდა საშვილიშვილო საკიცხავ ამბად, დარჩება. აგერ მეორე წელიწადია არსებობს ეს სამკითხველო. წარსულ წელიწადს შემოუწირავთ ზოგიერთს მრავლად წიგნები და მეასედიც აღარ არის სამკითხველოში. წელს თუმცა ამოირჩიეს მზრუნველები, მაგრამ მაინც კიდევ უკიდურესს მდგომარეობაშია, რადგან ამ მზრუნველთა შორისაც ზოგიერთები დიდს გულ-გრილობას იჩენენ.

⁂ სო. მუხრანი. 18 ივლისს, საღამოს ორს საათზედ, მუხრანში ცეცხლი წაუკიდეს თავ. ლევან ბაგრატიონ-მუხრანსკის ძნას და სულ ერთიანად გადასწვეს. ძნა სამასის თუმნისა მაინც იქნებოდა. ამ ძნიდგან ცეცხლი გადაედო დ. მამულიშვილის სახლს და ამ სახლის ზემო სართულიც დიდად დაზიანდა. მუხრანელები, რასაკვირველია, არ იზამდნენ ამ საქმეს და ამ ბრალს ოსებსა სდებდნენ, რომელნიც ი. ბაგრატიონ-მუხრანსკისთან ჰმუშაობდნენ.

⁂ გაზეთები იუწყებიან, რომ სატახტო ქალაქის ერთის ჟურნალის გამომცემელს ამ დღეებში თხოვნა შეუტანია იმის შესახებ, რომ კანონით აღკრძალულ იქმნას კვირა-უქმე დღეებს შემდეგ გაზეთის გამოცემა, რათა ასოთ-ამწყობლებმა და თანამშრომლებმა დაისვენონ, რომელნიც მთელის წლის განმავლობაში დაუსვენებლად ჰმუშაობენ, გარდა შობის და აღდგომის დღისაო. ამ თხოვნაში ნათქვამია, რომ გაზეთის გამომცემელთ სცადეს ერთმანეთში მოლაპარაკებით დაეწესებინათ და დღესასწაულს შემდეგ არ გამოეცათ გაზეთი, მაგრამ ამითი არა გამოვიდა-რაო.

⁂ 18 ივლისს ტფილისის მცხოვრებელი ფინოგენ ტრუტნევი პოვოსკითა და ცხენით რვა საჟენის სიმაღლიდამ ხევში გადავარდა, ცხენი დაიჩეხა და ტრუტნევი ისე მძიმედ დაშავდა, რომ მისი გადარჩენა საეჭვოა.

⁂ 19 ამ თვისას ლაბორატორიის ქუჩაზედ დიმიტრი ჯომუხაძის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი ცეცხლის მქრობელმა რაზმმა გააქრო.

⁂ ამავე დღეს კრამიტის ქუჩაზედ მცხოვრებელმა მოლა-ალი-ოღლიმ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ფურნიდგან სამი მანეთი და სხვა-და-სხვა ხელ-თე'ილი მომპარესო.

დამაკვირდი

ჯოჯოხეთში მარადის ვერავინ ეღირსება.

მეიდანი

**

საუკეთესო და მოუსყიდველი მსაჯული თითოეულის კაცისათვის არის იმისივე სინდისი.

კორესპონდენცია

საჩინო (იმერეთი). სოფ. საჩინო შესდგება რამდენისამე პატარა-პატარა სოფლისაგან და მდებარეობს მდ. რიონის მარცხენა მხარეს. საჩინო, როგორც თითონ სახელიც გვიმტკიცებს, იმერეთის ერთი იმ კუთხეთაგანია, რომელიც ბუნებითვე დიდად დაჯილდოებულია. მაგრამ არც ერთი კუთხე იმერეთისა არ არის ისე მიყრუებული, როგორც საჩინო: არც სწავლა-განათლებაა აქ, არც გზები და არც სხვა რამ. სოფელ საჩინოს უმთავრესს ნაწილს შეადგენს ვანის საზოგადოება, სადაც მოთავსებულია ბაზარი, სახელად ,,ურიები''. ამ

რი...

ეკლესიაში სრული სიჩუმე ჰსუფევდა. მხოლოდ მღვდელ-დიაკვნის ლოცვა-გალობა ისმოდა; ხანდახან აქაიქიდგან მოისმოდა მხურვალე, მაგრამ წყნარი ხმა ლაღადებისა, რომელსაც ხან პირჯვრის წერა და ხან მუხლთ მოდრეკა მოჰყვებოდა ხოლმე. ამ დროს ყველას სიმშვიდე გადაშლოდა სახეზედ, ვგონებ ყველანი იმასა ჰგრძნობდნენ, რასაც მე, და ყველანი ისევე ბედნიერნი დაბრუნდნენ ეკლესიიდგან, როგორც მე..

II

ისევ თითქმის შუა ზაფხული იქნებოდა. კიდევ შვიდი მუშა, მომკლები-კი არა, მოსწავლენი, ტრიალ მინდორზედ-კი არა, მეორე სართულში, ერთს ვიწრო ოთახში, წიგნების წინ ვისხედით და ვკითხულობდით. უცებ გაისმა იმ გვარივე წკრიალა ზარის ხმა ჩვენის სასწავლებლის ეკკლესიისა. წიგნებს თავი დავანებეთ და დავიწყეთ ტანისამოსისა და ფეხსაცმელების წმენდა. სანამ ტანისამოსს გავიწმენდით და ეკკლესიაში შევიდოდით, ლოცვა უკვე დაწყებულიყო. შევდგი თუ არა ეკკლესიაში ფეხი, შემომესმა ხოროს ხმა: Госцоди, воззвахъ къ тебѣ, услыши мя“. უცებ თვალწინ წარმომიდგა სოფლის ეკკლესია და უკან მივიხედე, თითქოს მოველოდი, რომ იქ ისევ იმ სურათსა ვნახამდი, რაც ეხლა ჩემ გონებაში ტრიალებდა, მაგრამ ამაოდ! ჩემს აღმზრდელ დედას აქ ვერა ვნახამდი: დიდი ხანი იყო, რაც ბედმა მომაშორა! მაგრამ, ნაცვლად იმისა, ერთი ნაბიჯის სიშორეზედ იდგა ამღზრდელი მასწავლებელი. იმან დამინახა თუ არა, მაშინვე შუბლი შეიჰმუხნა და ბღვერა დამიწყო. ის იყო უნდა ჩემ ალაგისკენ გავტრიალებულიყავი, რომ გამაჩერა და მრისხანე კილოთი მითხრა:

— За то, что вы изволили опоздать, будете записаны въ кондуитъ·

გავბრუნდი და ჩემს ალაგს დავდექი. სხვა-და-სხვა გვარი შავი ფიქრი დააწვა ჩემს გულსა და გონებასა. ამ „კონდუიტის“ ხსენებამ ბევრი უსიამოვნო რამე მომაგონა... მომაგონა მრავალჯერ ჩემი დამცირება, დასჯა, ადამიანის ღირსებათა შეგინება. თვალწინ წარმომიდგა ის უბრალო, უმნიშვნელო მიზეზებიც, რომელთა მეოხებით არა ერთხელ ჰხვედრია ყოველივე ესე ჩემს შეგირდულს ცხოვრებასა. გავები შავს ფიქრებში და ვიღას ახსოვდა ან ეკკლესია, ან წირვა და ან ლოცვა-ვედრება. ამ ფიქრებიდგან გამომარკვია არა ჩვეულებრივმა მოძრაობამ, რომელიც მოხდა ეკკლესიაში. ხოროს უკან გაისმა რაღაცა შრიალი. ყველამ უკან მიიხედეს, ხალხი შუაზედ გაირღვა და მათ შორის გამოჩნდა უფროსი, რომელიც საყდარში მდგომ მოსამსახურე პირთ რიგ-რიგად ზოგს სიცილით და ზოგს მრისხანე სახით ხელს უშვერდა.

არ გაუვლია კიდევ რამდენსამე წამსა, რომ ეკკლესიაში ერთი ძონძებში გახვეული ბავშვი შემოვიდა. საცოდავი, ჯერ თითქოს დაიბნა, არ იცოდა, სად დამდგარიყო, მაგრამ ბოლოს ორი-სამი ნაბიჯი გადმოსდგა, ხალხს შუა გაჩერდა. ამ დროს იმას შეაჩერდა მრისხანე თვალები უფროსისა; ბავშვს ფერმა გადაჰკრა და ისეთის თვალით შეჰხედა უფროსს, თითქოს ეხვეწებოდა: „მაპატივე შევცდი, მეც ვიცი, რომ აქ ჩემი ალაგი არ არისო.“ უცებ უფროსმა კარების კუთხისკენ თითი გაუშვირა, ბავშვიც გაბრუნდა და ნაჩვენებს ალაგას დადგა.

ამ დროს საიდგანღაც გამახსენდა მაცხოვრის სიტყვები, ნათქვამი მოციქულთა მიმართ: ,,აცადეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგე ვითართა არს სასუფეველი ღვთისა''.

სანამ ამ ფიქრში ვიყავი, ეკკლესიაში შემოვიდა ერთი დიდის მოხელე კაცის ცოლი და კარებთან გაჩერდა, მაგრამ იქ მხოლოდ ერთ წამს იყო, უფროსმა სთხოვა, რომ წინ წამომდგარიყო. ერთი კიდევ შევხედე ბავშვს. ის თავისის მტრედის თვალებით გატაცებული უყურებდა მაღლა დაკიდებულს ხატს. მეც ფიქრებმა წამიღო და რო გამოვფხიზლდი, მღვდელი საკურთხევლის კარებთან იდგა და იძახდა: მშვიდობით წარვიდეთო“.

ნ. კვათურის-პირელი

მეთვალყურის შენიშვნები

(წერილი პირველი)

ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ რუსეთსა და ჩვენშიაც, ხალხთა სიბნელის მოსასპობად, რაც ხელს უშლის ყოველ გვარ კეთილს საქმესა, წინმსვლელობასა და ერის წარმატებას, არსდება სხვა-და-სხვა სახალხო და სამრევლო სკოლები, უფასო სამკითხველოები და წიგნთ-საცავები, რომელთაც საგნად აქვთ ხალხის გონების გამოფხიზლება, განვითარება და აყვავება მისის ზნეობრივისა და ქონებრივის მდგომარეობისა. ოცს წელიწადზედ მეტია, რაც ჩვენში სახალხო სკოლები დაიმართა, ეს დრო საკმაოა, რომ სოფლის სკოლას შესაფერისი გავლენა ჰქონოდა იმ სოფლის საზოგადოების მკვიდრზედ, სადაც სკოლა არსებობს; მაგრამ სამწუხაროდ და სავალალოდ ყველგან ამ საქმეში სასიამოვნო სურათს ვერა ვხედავთ: ბევრგან ჩვენი უბრალო ხალხი ჯერ კიდევ ცუდის თვალით უყურებს სასოფლო სკოლებს, არ უცხადებს კანონიერ თანაგრძნობას სწავლის საქმეს, ნება-ყოფლობით, ძალა-დაუტანებლად,—პირ-იქით, ზოგიერთი ჩვენი გლეხი იმ აზრისაა: ოღონდ ეხლანდელი სკოლა, რომლისთვისაც გადასახადს იხდის და რომელიც, მისის აზრით, უსარგებლო დაწესებულებაა, თავიდგან აიცილონ, გადარჩნენ იმ ხარჯს, რასაც, ეწევიან სკოლის შესანახად, და მეტი არა უნდათ რა. ნუ თუ ჩვენებურ გლეხს, უფრო იმერეთში, შესწამებს ვინმე სწავლის გულ-გრილობას, სწავლის უნარის დაუფასებლობას? სრულიადაც არა. აქ მიზეზი სულ სხვაა და სხვაგანაც უნდა ვეძებდეთ. უმთავრესი მიზეზი-კი, სხვათა შორის, ჩვენი გლეხის სასწავლებლის მიმართ გულ-გრილობისა, ჩვენის აზრით, ჩვენებურის სკოლების პროგრამმაა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს გლეხთა ცხოვრების მოთხოვნილებას, ვერ ამართლებს იმ იმედებსა და მოლოდინს, რომლითაც შეჰყურებს გლეხკაცი სასწავლებელს. დღეს ამ ნაირი სურათი უკმაყოფილების გრძნობას დაჰბადებს ჩვენის ხალხის განათლების გულშემატკივართა გულში და საჭირ-ბოროტო საქმედ მიიღებს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია თავის ერის მომავალი, რომლის ბედი და უბედობა სწავლა-განათლებისაგან არის დამოკიდებული.

ამ ერთის კვირის წინად სოფ. წყალტუბოს (იმერეთშია) სოფლის საზოგადოების ყრილობას დავესწარი. ბოქაულმა გამოუცხადა თავ-მოყრილ ხალხს, რომ მთავრობის განკარგულებით ყველა მაზრას და აგრეთვე ქუთაისის მაზრაშიაც ერობის ხარჯით უნდა გაიმართოს საპროფესიონალო სასწავლებელიო, რომელიც დაარსებული უნდა იყოს ან დ. სამტრედიაში და ან ხონშიო. ეხლა თქვენ გკითხავთ, სად გირჩევნიათ ეს სასწავლებელი—ხონსა თუ სამტრედიაშიო. ხალხმა ერთხმად შესძახა: არ გვინდა, არც ხონში და არც სამტრედიაში, თუ უნდათ, ეს ჩვენი სასწავლებელიც სამტრედიაში წაიღონო; არ გვინდა სასწავლებელი, ისეც ტყავი გვძვრება გადასახადისაგანაო, და სწრაფად დაბრუნდნენ სახლისაკენ, თითქოს სასწავლებლის ხსენებაზედ საწამლავი დაელევინებინოს იმათთვის ვისმეს.

ურიებს შეადგენს ასზედ მეტი დუქანი, სხვა-და-სხვა სავაჭროთი სავსე და მკვიდრი მცხოვრებლები—ურიები, რომელთა რიცხვიც ძლიერ მცირეა. ირგვლივ აქვს შემორტყმული ძლიერ მკვიდრად დასახლებული სოფ. ვანი, სალხინო, დიხაშხო, ისრითი და სხვ.

ამ ბაზრის გვერდით მოთავსებულია სასოფლო სამმართველო, წამალხანა და ერთ-კლასიანი სასწავლებელი. დიდიხანია ლაპარაკი აქვს საზოგადოებას, რომ დააარსოს ორ-კლასიანი სასწავლებელი, მაგრამ ჩვენს მიყრუებულს საჩინოში ვინ მონახავს მოთავე კაცს, რომ გული შესტკიოდეს სოფლის ავ-კარგიანობისათვის. არც წიგნთ-საცავ-სამკითხველოა ჩვენს ბუნებით მდიდარს სოფელში, თუმცაკი ძლიერ ადვილად შეიძლება მისი დაარსება მოთავე რომ გამოუჩნდეს. ეს ორი წელიწადია, რაც აქ ლაპარაკობენ ბაზრობის დაარსების შესახებ, მაგრამ აქამდე არა ეშველათ-რა, მდ. რიონის მარცხენა მხარეზედ, ს. საჯავახოდგან დაწყებული დ. ბაღდადამდის, არსად ბაზრობა არ იმართება და აქაურს ადგილობრივ სიმდიდრეს არავითარი გასავალი არა აქვს. „ურიები“ საჯავახოს დაშორებულია ოცის ვერსით და ბაღდადს—ოცდახუთით, ამათზედ უფრო ახლოა დ. სამტრედია, რომელიც დაშორებულია ხუთმეტის ვერსით, და აქეთაც მიმოსვლას გზის უქონლობა შეუძლებლად ხდის. ძლიერ სასურველია, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს ვისიც ჯერ არს.

ამ უკანასკნელ დროს ხმა გავრცელდა სოფელში, რომ ვითომც სოფლის მამასახლისს წინადადება მოსვლოდეს: დ. სამტრედიაში არსდება მომრიგებელ-სასამართლო და ისურვებს თუ არა ვანის საზოგადოება შემოერთებასაო. (ვანის საზოგადოება ბაღდადის განყოფილებას ეკუთვნის), მაგრამ მამასახლისს არ უნდა წინადადება საზოგადოებას გამოუცხადოს იმ მოსაზრებით, რომ ვანის საზოგადოება ბაღდადის საბოქაულოს ეკუთვნის და თუ სამტრედიის განყოფილებას მიეწერა ვანის საზოგადოება, განსაკუთრებულს ბოქაულს არ მოგვცემენ და ბოქაულს ბაღდადში ყოფნა და მომრიგებელ-მოსამართლისაკი სამტრედიაში, სოფლის მოხელეთათვის არ იქნება მოხერხებულიო. თუ სამტრედიაში მომრიგებელ სასამართლო გაიმართა, მაშინ ვანის საზოგადოება სიხარულით უნდა შეუერთდეს სამტრედიას, რადგანაც, ჯერ ერთი, უფრო ახლო არის ბაღდადზედ, და მეორე,—გზაც გაკეთდება, ეტლების მიმოსვლა გაიმართება და სხ. ყოველს შემთხვევაში, სამტრედიისკენ მოგზაურობა ვანიდგან უფრო მოხერხებულია და არც რამე დამაბრკოლებელი მიზეზი აქვს. სოფ. ვანი და მაღლი საჩინო ახლო-მახლო მდებარე სოფლებით, ტობანიერის საზოგადოება და სხვანი შეუერთდებიან კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზას და ეს ხომ დიდად სასურველია ყველა ამ მხრის მცხოვრებლებისათვის.

ამას გარდა, როგორც არა ერთხელ იყო „ივერიაში“ მოხსენებული ექიმი ხომ ჩვენთვის ღმერთს არ გაუჩენია. ბევრი იხოცება მოუვლელობით და უექიმობით. ქუთაისიდგანა და ან სამტრედიიდგან ექიმის მოყვანა ჯდება ოთხ-ხუთ თუმნამდე და ამისთანა შეძლება არამც თუ გლეხს, არამედ თავადსაც არ მოეპოვება ჩვენში.

ერთმა არა სასიამოვნო ჩვეულებამ იჩინა თავი ამ ჩვენს „ურიების“ ბაზარში. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ბაზარში ბევრს ყმაწვილ კაცს, რომელთაც მუშაობა ძლიერ დიდ სირცხვილად მიაჩნიათ, დაუწყიათ ვითომდა ვაჭრობა. რასაკვირველია, ვაჭრობა კარგად არ მიდის და უსაქმობის გამო მიუყვიათ ხელი ქეიფისთვის, ყოველს დღეს შეიკრიბებიან ეს ვაჟბატონები, ამათაც მიემატებიან სოფლის არა მუშები და შეიქმნება ქეიფი; შეუძლებელია, რომ რომელსამე გამვლელს უსიამოვნება რამ არ მიაყენონ. აქ რომ სამკითხველო და წიგნთ-საცავი გამართულიყო, ამ არა სასიამოვნო ჩვეულებას ბოლო მოეღებოდა.

მოახლოვდა მამასახლისის ამორჩევის დროც და შეიქმნა ლაპარაკი განათლებულის მამასახლისის ამორჩევის შესახებ. ამბობენ, ვითომ მთავრობას განზრახვა აქვს სამამასახლისო ერთად შეაერთოსო, მაგრამ ჯერ გადაჭრით არაფერი ვიცით.

ვანელი

დ. ჩხარი. აქაური სომხები და ქართველები წარმოადგენენ ორს ერთმანეთის მოწინააღმდეგე დასს, რომელთა შორის დიდი განხეთქილება, შური და მტრობა არის ჩამოვარდნილი. ამ განხეთქილებას აძლიერებს განსაკუთრებით ერთი, დაბის გვერდით მდებარე, ცალიერი ადგილი, რომელსაც მკვიდრნი „ქალაქმინდორს“ უწოდებენ და სადაც სალამოობით წმიდა ჰაერზე სეირნობენ ხოლმე. ეს მინდორი ადგილობრივს სომხობას და აზნაურობას ამ ჟამად სადაოდ აქვთ გამხდარი და ლამის ერთმანეთი ბრძოლის ველზე გამოიწვიონ. ვინ იცის რამდენი ასი მანეთი იქმნა ბრმულად წყალში გადაყრილი ამ დავის წყალობით; ჩემის ფიქრით, ძნელად თუ რომელმამე დასმა და განსაკუთრებით სომხებისამ, ამ ადგილის დასაკუთრებით ამოიგოს მომავალში ის უშველებელი ზარალი, რომელიც მიაყენა მოუფიქრებელმა ქიშპობამ. ზოგიერთნი ორსავეს ურჩევდენ, მოდი ეს მინდორი დაბის ბაღად გარდავაქციოთ, შიგ კარგი სკოლა ავაგოთ, ეს ემჯობინება ცუდ-უბრალოდ ფულის ფანტვას, და ამ ნაირად ერთმანეთში დავიდარაბა მოვსპოთ, ადგილით საერთოდ ვისარგებლოთო, მაგრამ კარგის მთქმელს კარგი გამგონეც უნდა... დასებს შორის შური და მტრობა თუ უფრო ღვივდება, თორემ არ ნელდება, ფული კიდევ ჩეჩქივით იფანტება.

აქ უადგილო არ იქნება, მკითხველის ყურადღება მივაქციო ერთს არა-სასიამოვნო გარემოებასაც. დიდის საყვედურის ღირსია ადგილობრივი სომეხთა მღვდელი ე. ქ—იანცი, თუ მართლა ის ბრალი მიუძღვის მას წინ სომეხთა და ქართველთ შორის დამყარებულს განხეთქილებაში, რომელსაც სდებენ ზოგიერთნი ქართველნი და თვით სომეხნიც. თურმე ნუ იტყვით, ეს სულიერი მამა, ვითომც-და მამულიშვილურის გრძნობით გატაცებული, არავითარს სიტყვების რახა-რუხს და ძალ-ღონეს არ ჰზოგავს, ჩუმის დარიგება-ქადაგებით შეაძულოს თვისდამი რწმუნებულს სამწყსოს ქართველნი და განაცალკევოს მათგან. „ქართველი ბოროტი ხალხია, სომხებს მუდამ და ყველგან სდევნიან და მტრულის თვალით უცქერიან; იგინი ყოველს ძალ-ღონეს ჰხმარობენ დაგვჩაგრონ ჩვენ, სომხები, რადგანაც მათ შურთ ჩვენი დაწინაურება და სიმდიდრეო; ამიტომ ნურავითარს ძმურს კავშირს მათთან ნუ დაიჭერთ და ეცადეთ, საცა ქართველმა რამე გაწყენინოთ, ნუ დაინდობთ, თვალის წილ თვალი ამოთხარეთ და კბილის წილ კბილიო“. ამ გვარს აზრებს მამა ე. ქ—იანცი ხშირად უქადაგებს თურმე თავის სულიერს შვილებს ეკკლესიასა და სადგომებში; ბაზრად არამც თუ არაფერს ჰქადაგებს, არამედ წელიწადში ორჯერაც არ გამოდის.

აი რა სახით უფრო თვალ-საჩინოდ დაგვიმტკიცეს აქაურმა სომხებმა ჩვენდა მიმართ თავის დაუნდობლობა და სიძულვილი. სომხებს აქ საკუთარი სკოლა აქვთ. წელს ეს სკოლა გაცდენილი იყო თებერვლამდე, როცა მის მასწავლებლად დანიშნული იქმნა ერთი საკმაოდ განვითარებული, სწავლების საქმეში დიდ-ხნის გამოცდილი და პედაგოგიის გვარიანად მცოდნე ყმაწვილი ბ. მ. ს. სტ—ანცი. იგი, სანამ აქ სცხოვრობდა, უმეტესად ქართველთა შორის ატარებდა დროს და ჩვენთან უკეთესი კავშირი ჰქონდა დაჭერილი, რადგანაც, როგორც თვითონ ამბობდა, სომხებთან რიგიანი დაახლოვება, მათის ცუდის ზნეობის და ხასიათის გამო, ძლიერ გაუჭირდა. ამის გამო სომხებმა ბ. მ. სტ—ანცი აითვალისწუნეს, ათასი ხმები დაჰყარეს, რატომ ჩვენი მასწავლებელი ქართველებს მეგობრობას უწევსო, და ბევრნი მათგანნი აღარ დასთანხმდენ იმ ფულის გარდახდას, რომელიც ვალდებულებისამებრ უნდა შეეგროვებინათ მათ თავის შვილების მასწავლებლის სასარგებლოდ და ჯამაგირად, (რომელიც ეძლევა აქაურს სომეხთ მასწავლებელს სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებიდამ დანიშნულს ჯამაგირთან ერთად). „ეტყობა ეს „უჩიტელი“ გაღლეტას გვიპირებს, სულ ქართველებთან დათრიალობს, მაგან ბავშვებს რა უნდა ასწავლოს, ფული ტყვილად რაში მივსცეთო“, იძახდნენ „გაპატრიოტებული“ სომხები ბ-ნის მ. სტ—ანცის შესახებ. გულ-გახეთქილმა მასწავლებელმა და-

---

დიაღ, ამ გვარ სურათს ჰხედავთ დღეს იმისთანა სოფლის საზოგადოებაში, სადაც ცამეტი წელიწადია, რაც ერთ-კლასიანი სახალხო სკოლა არსებობს. ხალხი ამბობს, ამ სასწავლებელს სარგებლობა არ მოაქვს ჩვენთვისაო, მანდედგან გამოსული ქართულად დაწერილის წაკითხვასაც ვერ ახერხებსო, კანცელარიიდგან მოსულს უწყებას ვერ წამიკითხავსო და სხ. ამისთანა ჩივილს ხალხისას, რასაკვირველია, ბევრი არ დაეთანხმება, რადგანაც ყოვლად შეუძლებელია, რომ ამ ცამეტის წლის განმავლობაში ამ სასწავლებელს, რომელიც 900 მოსახლე კაცისათვის ერთად ერთი დაწესებულებაა სწავლის გასავრცელებლად, ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო სარგებლობა არ მოეტანოს საზოგადოებისათვის, რომელიც სამართლიანად თხოულობს ანგარიშს სკოლის ვითარებისას. ჩვენი ხალხი სჯერდება იმას, რასაც თავის თვალით ჰხედავს, თავის ყურით ისმენს, სჯის ისე, როგორც თავის ჭკუა-გონება ამხილებს,—ეს სჯა, ეს დასკვნა, როგორც ერთმხრივი ჭკუის ნაყოფი, ზოგჯერ უსაბუთოა, უსამართლოა, მაგრამ ხან-და-ხან-კი საბუთიცა აქვს და სამართალიც. აქ უნდა გამოფხიზლება სკოლის გამგეს, ამ დროს უნდა ნათლად დაანახოს საზოგადოებას მხნეობით, მეცადინეობით, ზნეობრივ გავლენით, ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცნობების გადაცემით, საზოგადო მოქმედებითა და არა სიტყვითაც, რომ მასწავლებელი ისეთი საფრთხობელა-კი არ არის, როგორც დღეს მიაჩნიათ, არამედ საშვილიშვილო სასარგებლო დაწესებულებაა, რომელსაც საზოგადო განათლებით ადამიანი გამოჰყავს პირუტყვულ მდგომარეობიდგან და ამაღლებს ზნეობრივადა და ნივთიერად.

ჩვენ სასოფლო სკოლებში საზოგადოდ არსად არ არის წესად შემოღებული, რომ წლის დასასრულს, ყმაწვილების გამოცდის დროს, მოიწვიონ მოწაფეების მშობლები და სხვა საპატიო ხალხი, გამართონ წლიური აქტი, მიიპატიჟონ საზოგადოება, წაუკითხონ სკოლის წლიური ანგარიში, რომლიდგანაც ყველა ნათლად დაინახავს, რაში და როგორ იხარჯება საზოგადოების მიერ გაღებული ფული, მიაქციონ საზოგადოების ყურადღება სკოლის არსებითს ნაკლულევანებას, ამღერ-აგალობონ მოწაფენი, წააკითხონ ლექსები, ან ათქმევინონ ზეპირად რამე, აჩვენონ საზოგადოებას იმათი ნამოქმედარი. ამის შემდეგ ვერც ვერავინ ეჭვს შეიტანს სკოლის საქმეში და არც არავის ექნება საბუთი სთქვას, რომ სკოლა უსარგებლო დაწესებულებააო. დღეს გლეხმა არ იცის, რა კეთდება სასწავლებელში, იცის მხოლოდ, მეზობლის ბავშვი დადის სკოლაშიო, მიუტანს თემსუქს (ვექსილის ქაღალდს) წასაკითხად; თუ წაიკითხა, ხომ კარგი, თუ არა და იტყვის ზემოდ აღნიშნულს სიტყვებს და უკვე გამოიყვანძავს აზრს სკოლის უსარგებლობის შესახებ.

სოფ. წყალტუბოში მასწავლებლის თაოსნობით გაუმართავთ საერო წიგნთ-საცავი და სამკითხველო. წიგნთ-საცავში ჯერ-ჯერობით ცოტა წიგნებია. ერთი აქაური მცხოვრები დაჰპირებია წიგნთ-საცავს 50 მანეთის წიგნის შეწირვას, რაც დიდი შეძენა იქნება ღარიბის წიგნთ-საცავისათვის. სამკითხველო და წიგნთ-საცავი მოთავსებულია სკოლაში, მაგრამ კარგს იქმოდენ, თუ ცალკე ააგებენ წიგნთ-საცავს. მასწავლებელივე ჰმეთაურობს ს. წყალტუბოში სასოფლო ბანკის დაარსებას, რომელიც ფრიად სასარგებლო დაწესებულება იქნება წყალტუბოს საზოგადოებისათვის, სადაც ხშირად საწყალი გლეხები უფულობის გამო დიდს განსაცდელში ვარდებიან; იმის გარდა, რომ თუმანში 24°/o იხდიან წელიწადში, ფულის პატრონი ვალდებულად ჰხდის გლეხს წელიწადში სამს დღეს უფულოდ მოეხმაროს, როცა-კი ეტყვის; ეს სამი დღეც მაშინ იქნება, როცა გაცხარებული მუშაობაა და თითო კაცი მანეთი, ან ექვსი აბაზი ჰღირს დღეში.

სოფ. წყალტუბო განთქმულია აგრეთვე თავისის აბანოებითა, და თბილის წყლებით. ეს აბანოები ერთი საუკეთესოთაგანია მთელს ქუთაისის გუბერნიაში; ხალხიც ბლომად ეტანება ყოველ მხრიდგან, შარშან 5000 მანეთამდის შემოსავალი ჰქონიათ მეპატრონეებს; ეს წყლები რგებს ყველაზე უფრო ქარით დაავადებულებს, ბუასილიანებს. ამ თხუთმეტის წლის წინად ამ წყლების ანალიზი მოახდინეს მეცნიერებმა გრუმმა, სკოროვმა სიმონოვიჩმა, ბაცევიჩმა და სოროკინმა. იმათის შემოწმებით იგი შეიცავს: „теплый известковый источникъ, имѣющій температуру 26, 8—27° Р. Выходитъ изъ слоевъ средняго мѣла. Содержитъ сѣрно-кислыя и углекислыя соли магнія и кальція, хлористые натрій и магній, слѣды желѣза и свободные сѣроводородъ и углекислоту. *)

წყალტუბოს წყლების შესახებ ბევრი წერებულა წინად ქართულ-რუსულ გაზეთებში და ყოველთვის აბანოს საცხოვრებელ ვითარებას სამართლიანად აძაგებდნენ; ამ უკანასკნელს წლებში წყალტუბოს წყლებს დიდი გაუმჯობესება ეტყობა; აუგიათ საკმაო რიცხვი მშვენიერის ქვითკირისა და ხის შენობებისა მოსვლელთათვის, შემოუღობავთ აბანოს ადგილები და დაუცავთ საჭირო სისუფთავე, დაურგავთ საკმაო რიცხვი სხვა-და-სხვა ხისა, გაუყვანიათ აბანოები რამდენიმე თვალად, ასე რომ მსურველს შეუძლიან ცალკე ნომერიც დაიქირაოს. ყოველივე ეს ცხადად ამტკიცებს, რომ წყალტუბოს აბანოების საქმე სულ წინ-წინ მიდის გაუმჯობესების მხრივ.

წყალტუბოს სოფლის საზოგადოება ისე დაშორებულია ქუთაისს და ხონს, რომ ავადმყოფობის დროს აქ ვერც ექიმს მოიყვანს კაცი და ვერც რიგიან წამალს იშოვნის. ერთი ქუთათური ვაჭარი აპირებს წყალტუბოს აბანოს ახლო აფთიაქის გამართვას, ამისთვის სახლიც დაუქირავებიათ. რასაკვირველია, აფთიაქის გამართვა ფრიად სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ უფრო კარგს იქმოდა აფთიაქის დამაარსებელი, რომ წამლების საწყობი გაემართა ხალხისათვის უფრო დასამხარ ადგილზე, სადაც სასწავლებელია და სოფლის სასამართლო; ეს უფრო სასარგებლო იქმნებოდა როგორც დამაარსებელისათვის, ისე უბრალო ხალხისთვისაც, რომელიც ჯერ კიდევ მკითხავებისა და გაიძვერა ექიმების რჩევას უფრო მისდევს, ვიდრე სხვა გონიერ საშუალებას.

ამ ცოტა ხანში წყალტუბოს სოფლის მოხელეების ახალ არჩევანებს მოელიან. უნდა ვიფიქროთ, რომ დროა გამოფხიზლდნენ აქაურებიც, მიმართონ სხვა სოფლის საზოგადოების მაგალითს, სადაც სოფლის მოხელე—მამასახლისად ნასწავლი და შეგნებული კაცები ჰყავთ. დროა შეიგნოს ჩვენმა ხალხმა, რომ მხოლოდ ღირსს და პატიოსან კაცს, ნასწავლს და შეგნებულს შეუძლიან კარგად მოვლა და კარგი პატრონობა გაუწიოს საზოგადოებას, ამისთანანი წყალტუბოს საზოგადოებაში გამოჩნდებიან, შორს საძებარნი არ არიან და ამიტომ უფრო საბუთი გვაქვს კიდევ გავიმეოროთ: დროა წყალტუბოს საზოგადოების მკვიდრნიც მიხვდნენ, რომ „ერის ბედია, თუ დაჯდა კარგი რამ მოსამართლეა“.

Ignotus

---

*) იხ. წიგნი მიოლლერისა Полезн. иск. и мин. воды Кавк. края, გვ. 309.

იჩქარა მალე გასცლოდა თავის უმადურს და გაუტანელს მოძმეებს და 25 მაისს დანიშნა ეგზამენი თავისს სკოლისა, სადაც მოიწვია დასასწრებლად და შეგირდების სწავლა-ცოდნის დასაფასებლად მათი მამები (თუმცა მათგან მხოლოდ ხუთიოდე დაესწრო ეგზამენს) და სხვა საპატიო პირნი ქართველთაგან. ეგზამენის წინ ბ. მ. სტ—ნცმა ფრიად გრძელის სიტყვით დიდ თამამად, პირდაპირ ჴ ნათლად დაასურათა ჩხარელ სომეხთა გონებრივი წყვდიადი ჴ ზნეობრივი დაქვეითება. შემდეგ ეკზამენი მოვისმინეთ და ძალიან განცვიფრებულნი დავრჩით შეგირდების მშვენიერ ცოდნით, მათ მიერ სულ $3^{1}/_{2}$ თვის განმავლობაში თავის მუყაით და „საყვარელ“ მასწავლებლისაგან შეძენილით. დამსწრე სომხები პირ-დაღებულნი და შერცხვენილნი დარჩნენ ნაეკზამენევს და, თუმც მასუკან აღარ უშურებდნენ მასწავლებელს სასყიდლის გადახდას, მაგრამ მხოლოდ ხუთიოდე კაცისგან ფულის აღებაზე ბ-ნმა მ. სტ—ანცმა სრული უარი განაცხადა, ისევ ის ამჯობინა სამგზავროდ ვისგანმე ხუთიოდე მანეთი ესესხა და მეორე დღესვე წყევლა-კრულვით განშორდა ჩხარის არე-მარეს. შეგირდები საყვარელ მასწავლებლის დაკარგვამ მეტად დააღონა. ეს გახლავთ ნაყოფი კეთილ მწყემსის მიერ თვის სამწყსოში დათესილ თესლისაგან გამოღებული!

მაისის უკანასკნელს კვირაში ყოველდღე სწვიმდა, რამაც გულ-გატეხილი გლეხები ძალიან გაახარა, წელს მაინც იქნება კარგი მოსავალი გვექნესო. ჯერ-ჯერობით საკმარისია, რაც ამ ხანგრძლივმა წვიმებმა მიწა გააძღეს და სანატრელია პატარა ხანს გლეხს მუშაობა დასცალდეს.

სევ. ჯულელი

უცხოეთი

საფრანგეთი. „Temps“-ს დეპეშით ატყობინებენ ლიონიდგან: ლიონის სასამართლოს პრეზიდენტმა ბრელაკმა ჩვენება ჩამოართვა 8 ივლისს განსვენებულ კარნოს მკვლელს. ყოველთ უწინარეს მან ჰკითხა კაზერიოს, ხომ არა გსურს დაუმატო რამე შენს ჩვენებასაო.

— არაფრის დამატება არა მსურს, მიუგო კაზერიომ,—ვიმეორებ, რომ მხოლოდ ნაფიცთა მსაჯულთ წინაშე ვილაპარაკებ.

— ხომ არ გინდათ საჩივარი შეიტანოთ, რომ უწესოდ ხართ მიცემული სამართალში?

— სულაც არა. ჩემი სურვილია, რაც შეიძლება ჩქარა წარვსდგე ნაფიც მსაჯულთა წინაშე.

როცა ჰკითხეს კაზერიოს, ამოირჩიე თუ არა შენთვის ვექილიო, კაზერიომ მიუგო, ჩემთვის ვექილი საჭირო არ არისო. პრეზიდენტმა განუცხადა კაზერიოს, რომ კანონის თანახმად ვექილი უთუოდ უნდა ჰყავდეს და ჰკითხა თანახმა ხარ თუ არა, რომ ვექილად დაგინიშნოთ იტალიელი ვექილი პოდრეიდერიო. კაზერიომ ფრანგი ვექილი ისურვა. პრეზიდენტმა დანიშნა ლიონელ ვექილთა უფროსი დუბრეილი.

ლიონის სასამართლოში გამოკიდებულია განცხადება: „პარასკევს, 27-ს და შაბათს, 28 ივლისს, კაზერიო, სანტო იერონიმო. მკვლელობა“.

—

იაპონია. ერთმა ,,იაპონელთა დიდკაცთაგანმა'' ამ გვარად განუმარტა „National Zeitung“-ის თანამშრომელს კორეს საქმეების მდგომარეობა:

,,ჩინეთის სურვილი კორეს უზენაესის მფარველობისა უსაფუძვლოა ჯერ ერთი იმიტომ, რომ კორე დიდიხანია საქმით ჩინეთს აღარ ექვემდებარება. კორეს თავისუფლება აღიარებულია თვით ჩინეთის მთავრობისაგან, რომელმაც აღიარა კანონიერად ხელ-შეკრულობა კორესა და სხვა სახელმწიფოთა შორის. ამის მიუხედავად ტოკიოში ფიქრადაც არავის მოსდის ჩინეთის ინტერესები დაარღვიოს, რადგან ეს ინტერესები სრულიად ეთანხმება (?) იაპონიის ინტერესებს. საზოგადოდ იაპონიის პოლიტიკას გადაწყვეტილი აქვს, ჩინეთს ყოველთვის შეეწიოს. ამის გამო ტოკიოში გაოცებულნი არიან უანგარობას ჩინეთის მთავრობისას, რომელიც რუსეთსაც ითრევს კორეს საქმეში. იაპონელებს ამ საქმის გამო შეუძლიანთ მხოლოდ გულ-წრფელი წუხილი განაცხადონ. რაც შეეხება რუსეთის მხრივ კორეს საქმეში გარევას, ამას იაპონელები ყურადღებასაც არ აქცევენ, რადგან, რა-კი საშუალ რუსეთსა და იმის აღმოსავლეთს განაპიროებს შუა დამოკიდებულება არა არსებობს, ამის გამო იაპონიის მდგომარეობა სტრატეგიის მხრივ ბევრად უმჯობესია, ვიდრე რუსეთისა.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „ივერიის“ 151 №-ის ახალ ამბავში დაბეჭდილია: „საქართველოს ეგზარხოსის შუამდგომლობით უწმიდესმა სინოდმა ნება დართო შეუდგნენ საქართველოს შიომღვიმის მთელის ტაძრის განახლებას, რომელიც ამ უკანასკნელს დროს ძალიან დაზიანდა, ეს მონასტერი აგებულია ღვაწლ-მოსილის წმინდა შიოს მიერ და შეიცავს მრავალს საინტერესო და საარქეოლოგიო ძვირფასს ნაშთს“. ეს ამბავი სრულიად მოკლებულია სიმართლეს.

წინამძღვარი შიომღვიმის მონასტრისა
ეპისკოპოსი ალექსანდრე

დეპეშა

19 ივლისი

ვენა. ერცჰერცოგი ვილჰელმი ცხენმა დააშავა და გუშინ გარდაიცვალა ბიდენში, ვენის მახლობლად. ერცჰერცოგი ცხენით მიდიოდა ელექტრონის რკინის გზის მახლობლად; ცხენი მატარებლისაგან შეფრთხა და მხედარი გაიტაცა; ერცჰერცოგმა, რა-კი ჰნახა, რომ ცხენს ვეღარ შეაყენებო, სცენიდგან გადმოხტომა სცადა, მაგრამ, ერთი ფეხი უზანგოში შერჩა და ცხენმა რამდენიმე ასი ნაბიჯი ათრია. ერცჰერცოგს თავი მძიმედ ჰქონდა დაშავებული.

კოპენჰაგენი. ხომალდი „პოლიარნი ზვეზდა“ საღამოს 10 საათზედ დაიძრა. მემკვიდრე ცესარევიჩს თან მოსდევს დანიის პრინცი ქრისტიანე, რათა დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულის ქორწინებას დაესწროს.

ლონდონი. ქვედა პარლამენტში გრეიმ განაცხადა, რომ მოლაპარაკება პამირის შესახებ რუსეთთან ჩქარა დამთავრდება მშვიდობიანადაო.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდი, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პრიტასევიჩი,—$11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^{1}/_{2}$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

ე. ი. ფრანცუსი, 7—$7^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერისფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

,,სიჭაბუკის ცოდვა''

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ხემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

„ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით. . . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, ...	9 ,, 50,,	5 ,, ...	5 ,, 50,,
10 ,, ...	8 ,, 75,,	4 ,, ...	4 ,, 75,,
9 ,, ...	8 ,, —,,	3 ,, ...	3 ,, 50,,
8 ,, ...	7 ,, 25,,	2 ,, ...	2 ,, 75,,
7 ,, ...	6 ,, 50,,	1 ,, ...	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^{1}/_{2}$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

„უ რ ბ ე ნ ი“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი,
ნევის პროსპექტი,
№ 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს ვადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი აზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლიაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასო გაეგზანებათ.

(40—1061—11)

სასაპარელო ესსენცია კოლბერისა
(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამოჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.

Дозволено цензурою Тифлисъ, 19-го Іюля 1894 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.